ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3963514

ნომერი: AR1590688

თარიღი : 11.04.2018

გაცემის თარიღი : 16.05.2018

გაცნობის თარიღი : 16.05.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება აეროდრომი , ქუჩა III , N15-ის მიმდებარედ ; ქალაქი თბილისი , დასახლება აეროდრომი, I ქუჩა, N22-ის მიმდებარედ ; ქალაქი თბილისი , დასახლება აეროდრომი , ქუჩა III , N 15 ; ქალაქი თბილისი , დასახლება აეროდრომი , ქუჩა I , N 18/3 , (ნაკვ.02/006);

დამკვეთი-განმცხადებელი

- რამაზი გუგუნაშვილი პ/ნ 12001036838
- გარდაბანი ს. საცხენისი

ორგანიზაცია:

- შპს იქს-სტილი+ კოდი: 406170361

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 18 ნოემბრის №2954100 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 11 აპრილის №AR1590688 განაცხადით მომართა რამაზი გუგუნაშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2016 წლის 18 ნოემბრის №2954100 ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2016 წლის 18 ნოემბრის №2954100 ბრძანებით №01.19.36.002.042 საკადასტრო ერთეულზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

განმცხადებელის განმარტებით, 2016 წლის 18 ნოემბრის №2954100 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ, შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის მე–8 სართულის გეგმაზე არასწორადაა დაფიქსირებული №38 ბინის ფართობი. განმცხადებლის მიერ წარმოდგენილია +23.00 ნიშნულზე მე–8 სართულის გასწორებული გეგმა.

სამსახურმა 2016 წლის 18 ნოემბრის №2954100 ბრძანებით შეთანხმებული არიქტექტურული პროექტისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ წარმოდგენილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები და შესწორებული შეესაბამება შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტს, შესაბამისად, განმცხადებლის მოთხოვნა ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე საფუძვლია და უნდა დაკმაყოფილდეს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1.გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 18 ნოემბრის №2954100 ბრძანებაში, კერძოდ, ბრძანებით შეთანხმებული +23.00 ნიშნულზე მე-8 სართულის გეგმა ჩანაცვლდეს 2018 წლის 11 აპრილის №AR1590688 განცხადებით წარმოდგენილი, ამავე ნიშნულის გასწორებული გეგმით.